# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N 1220 2021 წლის 20 ივლისი ქ. თბილისი

## გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის $პ^3$ ქვეპუნქტის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 37-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, დამტკიცდეს გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №74.06.11.052; №74.06.11.472; №74.06.11.756; №74.06.11.442; №74.06.11.133; №74.06.11.450) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

შ.პ.ს. "არქიტექტურა, კონსტრუქციები - ააო"

# განაშენიანების დეტალური გეგმა, კონცეფცია

## მიწის ნაკვეთები ს/კ :

74.06.11.052; 74.06.11.472; 74.06.11.756; 74.06.11.442; 74.06.11.133; 74.06.11.450;

დირექტორი თ.ჯაფარიძე

## განმარტებითი ბარათი

ობიექტი მდებარეობს „ახალ გუდაურში" და მოიცავს 6 მიწის ნაკვეთს: ს/კ: №74.06.11.052; №74.06.11.472; №74.06.11.756; №74.06.11.442; №74.06.11.133; №74.06.11.450.

გუდაურის გენგეგმით მიწის ნაკვეთები განთავსებულნი არიან ლადშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში თუმცა იმყოფებიან განაშენიანებისათვის დასაშვები ტერიტორიის ფარგლებში.

ნაკვეთები იმყოფებიან კობი გუდაურის მაგისტრალის სიახლოვეში, და გააჩნიათ მასთან საგზაო კავშირი, დღესაც სამანქანო წვდომა მიწის ნაკვეთებთან არსებობს. თუმცა გზა კეთილმოწყობილი არ არის.

უშუალო სიახლოვეში განხორციელებულია და ეხლაც მიმდინარეობს მშენებლობები.

მიწის ნაკვეთები პრაქტიკულდ უზრუნველყოფილია საინჟინრო ინფრასტრუქტურით. სამხრეთით არსებულ გზაზე გადის წყალგაყვანილობა და გაზგაყვანილობა, ელექტრომომარაგების ხაზსებიც უშუალო სიახლოვეშია. ცენტრალურ საკანალიზაციო ხაზზე დაერთებამდე, შესაძლებელია ცალკეულ ნაკვეთებზე ლოკალური ქების განთავსება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

მიუხედავად რთული რელიეფისა მისი საშუალო დახრილობა მერყეობს 20% - 40% -ს შორის.

ნაკვეთების განაშენიანებაზე რეალური მოთხოვნა არსებობს. გენერალური გეგმით ნაკვეთების ფუნქციის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ სასოფლო-სამოსახლო ზონად. დეტალური გეგმის კონცეფციით ასეც არის დაგეგმილი.

მიწის ნაკვეთებთან წვდომა ხორციელდება სამხრეთით არსებული გზის მეშვეობით. ავტოფარეხები განთავსებულია უშუალოდ გზის პირას. ვფიქრობთ სივრცით-გეგმარებითი წყობა პრინციპულად ღია ტიპის იქნება, ბლოკირებული ჩართვებით.

კოტეჯები რელიეფშია შექრილი 2 სართული მანსარდით და ნახევარსარდაფით.

ვთვლით, რომ ასეთი განაშენიანება, ლოკალური ადგილისათვის მისარებია.

თეიმურაზ ჯაფარიძე

## სარჩევი

1. თავფურცელი
2. განმარტებითი ბარათი
3. სარჩევი
4. ობიექტის სიცოცხლისუნარიანობის შეფასება (4-1; 4-2;)
5. **SWOT** - ანალიზი
6. სიტუაციური რუკა -1
7. სიტუაციური რუკა -2
8. ფოტოფიქსაცია (8-1; 8-2; 8-3)
9. ტოპო
10. მიწის ნაკვეთები
11. რელიეფის ჭრილები
12. განვითარების კონცეფცია
13. საპროექტო ჭრილები
14. საინჟინრო უზრუნველყოფა
15. ცვლილება ზონირებაში
16. ფოტომონტაჟი (16-1; 16-2)
17. რენდერები
18. ბანერის ფოტოები
19. წინასწარი გეოლოგიური დასკვნა (19-1;19-2;19-3)
20. მესაკუთრეთა თანხმობები

# განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაბა გუდაურში

## ობიექტის სიცოცხლისუნარიანობა შეფასება (გამოყენებულია ტურიზმის დეპარტამენტისა და იესიტის მასალები)

ობიექტის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად მიგვაჩნია კოოპერირების საფუძველზე აგებული მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციული ფორმის ფუნქციონირება. ფინანსური და შრომითი რესურსების ერთობლიობა მენეჯმენტის სწორად წარმართვისას ეძლევა მინიმალური ხარჯების პირობებში მაღალხარისხიანი პროდუქციისთ პრეტენზიული მომხმარებლის მოთხოვნის წარმატებით დაკმაყოფილების გარანტიას.

საცხოვრებელ-სამუშაო ერთეულების პირველ სართულზე გამიზნულია სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების მაქსიმალური დაცვის პირობებში კვების პროდუქტების, კერძოდ: მაწონის ყველის და ნახევარ ფაბრიკატების კერძოდ: მაწონის,ყველის და ნახევარფაბრიკატების (ხორცის, ყველის, კარტოფილის ბლინის და ხინკლის) წარმოება, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე ლაბორატორიული და სამაცივრო მეურნეობით. ნედლეულის შეძენა დაგეგმილია ხუთკილომეტრიან რადიუსში მდებარე სოფლების: სეთურების, ჯაღმიანის, ზაქათკარის, კაიშაურების მოსახლეობისაგან. ასევე ყაზბეგის რაიონის სოფელ არშას, დუშეთის ან მცხეთის სასაკლაო ბაზიდან.

"იესიტი" -ს მიერ საქართველოს ნაწილში ჩატარებული კვლევის რეალური ვარიანტით გუდაურის ტურისტულ კომპლექსს სტუმრობს 1 726 894 ადამიანი. ობიექტს გააჩნია მოკრძალებული ამბიცია, ვიზიტორთა მხოლოდ 2%- დააგემოვნოსეკოლოგიურად სუფთა, ადგილობრივი ნედლეულით დამზადებული უგემრიელესი საკვები.

ვიზიტორთა 76% ქართველია,მათთვის მშობლიური და მიმზიდველია ობიექტის მიერ შემოთავაზებული პროდუქცია. მოცემული კვლევები ცხადყოფენ მომდევნო სამი წლის განმავლობაში ვიზიტორთა რიცხოვნების მატებას მეტწილად მეზობელი ქვეყნებიდან. აღნიშნული საკვები მათთვისაც ცნობილი და მოთხოვნადია. მიუხედავად ამისა ობიექტის მეურნეობრიობის ხარჯთაღრიცხვაში რეკლამის ხარჯებს მნიშვნელოვანი წილი უკავია, რაც უდავოდ შედეგის მომტანი იქნება ევროპელი და აზიელი ტურისტების მოზიდვის მიზნით. ფუნქციონირების პირველსავე დღეს ობიექტის სამეურნეო საქმიანობა რეალური ვერსიის შემთხვევაში 20 000 ლარის მოგებაზეა ორიენტირებული, უფრო მეტიც, ის სიცოცხლისუნარიანი რჩება კვლევების ცუდი ვარიანტის პირველსავე წელს, და თუ საუკეთესო სცენარს განვიხილავთ, მოგებამ შესაძლებელია 85 000 ლარს გადააჭარბოს.

მომდევნო წელს ვიზიტორთა მატება რელურ და საუკეთესო სცენარის შემთხვევაში დაახლოებით 25 პუნქტით არის ნაგულისხმები, ხოლო მესამე წელს მეორესთან შედარებით რეალურ ვარიანტში 15, საუკეთესოში კი 22 პუქტით, რაც პირდაპირ კავშირშია ობიექტის სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებასთან.

გასათვალისწინებელია ტურიზმის დეპარტამენტის მოსაზრება და "იესიტის" კვლევართა შენიშვნა რომ ვიზიტორთა რიცხოვნობა აღებულია პესიმისტურად კოვიდის რეალობაში და რომ ციფრები მოსალოდნელია გაიზარდოს.

მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს საბაგიროს სიახლოვე, რაც ამცირებს ხარჯებს და ამარტივებს სასრიალო სივრცეში განთავსებული კვების ობიექტებში შეღწევას. საგზაო მაგისტრალთან სიახლოვე კი ადვილად ხელმისაწვდომს ხდისობიექტის მიერ წარმოებულ პროდუქტს.

ვფიქრობთ, უცხოელი (და არა მხოლოდ) ვიზიტორებისათვის სპორტული გართობის შემდეგ საინტერესო იქნება ხალხური რეწვის ადგილობრივი კულტურის გაცნობა (ქსოვა, ქარგვა, ჭედური ხელოვნება და ა.შ.).

დამთვალიერებლებს მიეცემათ ტრადიციული, ავთენტიკური წარმოების პროცესში ჩართვის და ნაკეთობათა შეძენის შესაძლებლობა. აღნიშნული კიდევ უფრო საინტერესოს გახდის გუდაურის ტერიტორიას, გაზრდის ამონაგებს და გააძლიერებს მის სიცოცხლისუნარიანობას.

გუდაურის საცხოვრებელ-სამუშაო ობიექტის კოოპერირების საფუძველზე ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ტერიტორიის ერთიან კომპლექსად ჩამოყალიბებას. თავიდან ავიცილებთ ქაოტური, არასისტემური განვითარების საფრთხეს. გამარტივდება შიდა გზების მოწყობა და ტერიტორიის გამწვანება. გაიზრდება მოთხოვნა მიმდებარე სოფლების მიერ წარმოებულ სასოფლოსამეურნეო პროდუქციაზე, ხელი შეეწყობა მათ გაძლიერებას.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს საცხოვრებელ-სამუშაო ობიექტის საყოფაცხოვრებო და კვების პროდუქტების ხარჯებს.

## განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაბა გუდაურში

## ობიექტის სიცოცხლისუნარიანობა შეფასება
(გამოყენებულია ტურიზმის დეპარტამენტი და იესიტის მასალები)

### ხარჯები

| სცენარი | ცუდი | რეალური | საუკეთესო |
|---|---|---|---|
| ნედლეული | 106 462 | 125 326 | 147 848 |
| ფქვილი | 5 721 | 6 735 | 7 483 |
| ხორცი | 63 956 | 75 292 | 89 396 |
| რძე | 34 619 | 40 755 | 47 949 |
| კვერცხი | 1 173 | 1 381 | 1 625 |
| კარტოფილი | 733 | 863 | 1 015 |
| ზეთი | 130 | 150 | 200 |
| სხვა | 130 | 150 | 180 |
| შესაფუთი მასალა | 16 429 | 19 340 | 22 755 |
| კომუნალური | 27 043 | 27 893 | 28 623 |
| გაზი | 18 000 | 18 800 | 19 500 |
| დენი | 6 700 | 6 720 | 6 750 |
| წყალი | 1 653 | 1 653 | 1 653 |
| დასუფთავება | 720 | 720 | 720 |
| საკომუნიკაციო | 1 200 | 1 200 | 1 200 |
| საწვავი | 3 600 | 3 600 | 3 600 |
| ამორტიზაცია | 37 500 | 37 500 | 37 500 |
| რეკლამა | 6 000 | 6 000 | 6 000 |
| **სულ ხარჯები** | **203 899** | **220 859** | **247 526** |

### შემოსავალი რეალიზაციიდან

| ერთი ვიზიტორის მიერ შეძენილი პროდუქცია | | | ვერსია | | |
|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | რაოდენობა | ერთ.ფასი | ცუდი 29 338 ვიზიტორი | რეალური 34 538 ვიზიტორი | საუკეთესო 40 635 ვიზიტორი |
| ხინკალი | 5 | 0.70 | 102 683 | 120 883 | 142 222 |
| ბლინი ხორცით | 1 | 0.50 | 14 669 | 17 269 | 20 317 |
| ბლინი ყველით | 1 | 0.40 | 11 735 | 13 815 | 16 254 |
| ბლინი კარტოფილით | 1 | 0.30 | 8 801 | 10 361 | 12 190 |
| მანონი | 1 | 2.25 | 66 010 | 77 711 | 91 428 |
| სულ რეალიზაციიდან შემოსავალი | | | 203 899 | 240 039 | 282 412 |
| I წლის მოგება | | | 5 635 | 19 180 | 34 886 |

ხარჯები ნაანგარიშებია ერთეულ პროდუქციაზე მოხმარებული ნედლეულის ნამრავლით რაოდენობასთან და დაკავშირებულია კომუნალური და სხვა სავარაუდო ხარჯების ჯამთან.

# განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაბა გუდაურში



## დაგეგმვის ეფექტიანობა SWOT ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები | შესაძლებლობები | საფრთხეები |
|---|---|---|---|
| **S** | **W** | **O** | **T** |
| **ადგილმდებარეობა** | | | |
| ტერიტორია მდებარეობს გუდაურის ცენტრალურ ნაწილში ზღვის დონიდან 2094 - 2116 ნიშნულებზე. მდებარეობს ცენტრალური გზის მიმდებარედ | ტერიტორიასთან ნვდომა საი ინ შესაძლებელია თუმცა საი ააბით სარგებლობა ამ ეტაპზე შეუძლებელია | წარმოდგენილი კონცეფციით, შესაძლებელია კეთილმოწყობილი თანამედროვე გარემოს ჩამოყალიბება | ამ ეტაპზე რაიმე საფრთხეები არ იკვეთება |
| **ეკოლოგია** | | | |
| ნაკვეთი მდებარეობს ეკოლოგიურად სუფთა გარემოში | ტერიტორია გაემწვანებელია | სპეციალური ჯიშების შერჩევით შესაძლებელია ტერიტორიის გამწვანება | ამ ეტაპზე რაიმე საფრთხეები არ იკვეთება |
| **ტრანსპორტი** | | | |
| ტერიტორიასთან მისასვლელი ცენტრალური გზის მიმდებარედაა<br>*პრილი 2-2* | მისასვლელი გზები არ არის კეთილმოწყობილი | გზების წესრიგში მოყვანით და და გზების სათანადო საფარის მოწყობით შესაძლებელია კეთილმოწყობილი გზების სისტემის შექმნა | სამშენებლო დოკუმენტაციის დამუშავებისას გასათვალისწინებელია ზუსტი ვერტიკალური გეგმარება |
| **საინჟინრო ქსელები** | | | |
| ტერიტორიასთან უშუალო სიახლოვეში მიყვანილია საინჟინრო ინფრასტრუქტურა | ამ ეტაპისათვის უშუალოდ ტერიტორიაზე არ არის მიყვანილი საინჟინრო კომუნიკაციები | სრულადაა შესაძლებელი ტერიტორიის უზრუნველყოფა საინჟინრო ინფრასტრუქტურით | საინჟინრო სამშენებლო დოკუმენტაციის დამუშავებისას გასათვალისწინებელია ზუსტი ვერტიკალური გეგმარება |
| **განვითარება** | | | |
| ტერიტორია არ შეიცავს რაიმე სახის რისკებს მისი განვითარებისათვის | ტერიტორიის მახასიათებლები განვითარებისათვის დამაკმაყოფილებელია | ტერიტორიის გეგმაზომიერი განვითარებით შესაძლებელია მაღალი სტანდარტის ქალაქმშენებლობითი გარემოს მიღება | ტერიტორიის არ განვითარება არ არის სასურველი, მისი განვითარება ხელს შეუწყობს მიმდებარედ არსებული განაშენიანების სრულყოფას |

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაბა გუდაურში


განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაბა გუდაურში
გასანვითარებელი ტერიტორია


განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაბა გუდაურში
სიტუაციური რუკა
პირობითი აღნიშვნები
განაშენიანების დეტალური გეგმის საზღვარი
მიწის ნაკვეთების საზღვრები


განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაბა გუდაურში
ფოტოფიქსაცია




განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაბა გუდაურში
ფოტოფიქსაცია
ობიექტის მდებარეობა

## განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაბა გუდაურში

## ფოტოფიქსაცია



L.T.D "KIRKITADZE & COMPANY"

Pekini str. N 27 tel: 2 37 23 00 mob: 5 99 56 22 76, fax: 2 37 23 00

# განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაბა გუდაურში

## ტოპოგადაღება

## გეგმა




### პირობითი აღნიშვნები

განაშენიანების დეტალური გეგმის საზღვარი

მიწის ნაკვეთების საზღვრები

# განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაბა გუდაურში




## მიწის ნაკვეთები

| № | საკადასტრო ნომერი | ფართობი | მფლობელი |
|---|---|---|---|
| 1 | 74.06.11.052 | 2001 კვ.მ. | ლევან ცაბაძე |
| 2 | 74.06.11.472 | 430 კვ.მ. | ლეო სუხაშვილი |
| 3 | 74.06.11.756 | 420 კვ.მ. | ნათელა სეთურიძე |
| 4 | 74.06.11.442 | 440 კვ.მ. | ოთარ სეთურიძე |
| 5 | 74.06.11.133 | 400 კვ.მ. | გიორგი ლედემაური |
| 6 | 74.06.11.450 | 1780 კვ.მ. | ეთერ ჯივაშვილი |

## პირობითი აღნიშვნები

- განაშენიანების დეტალური გეგმის საზღვარი
- მიწის ნაკვეთის საზღვარი

# განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაბა გუდაურში

## რელიეფის ჭრილები









# განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაბა გუდაურში




**განაშენიანების კონცეფცია**

## პირობითი აღნიშვნები

- განაშენიანების დეტალური გეგმის საზღვარი
- მიწის ნაკვეთების საზღვარი
- საპროექტო შენობები სავარაუდო განთავსება
- საავტომობილო გზები და გასასვლელები
- საფეხმავლო სივრცეები
- მწვანე სივრცეები
- სკი-06

# განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაბა გუდაურში

## ცვლილება არსებულ ზონირებაში



არსებული ფუნქციური ზონირება

პირობითი აღნიშვნები

- განაშენიანების დეტალური გეგმის საზღვარი
- ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლპ)
- საკურორტო - სარეკრეაციო ზონა - 2(ფზ-7)
- სასოფლო სამოსახლო ზონა (შზ-1)
- სატრანსპორტო ზონა

| შპს "არქიტექტურა, კონსტრუქცია" — "აკო" | ლიცენზია № - 150 |
|---|---|
| განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაბა გუდაურში | |

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაბა გუდაურში

ფოტომონტაჟი



განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაბა გუდაურში

ფოტომონტაჟი








| | |
|---|---|
| № 4 50 | |

## ტექნიკური დავალება

### წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

**ობიექტის დასახელება:**

კოტეჯური ტიპის ნაგებობები

**დამკვეთი:** კერძო პირები: ლ.ცაბაძე, ლ.სუჯაშვილი, ნ,სეთურიძე, ო.სეთურიძე, გ.ღუდუშაური, ე.ჭიპაშვილი

**ობიექტის მდებარეობა:**

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი. დაბა გუდაური. ნაკვეთები: ს/კ 74.06.11.052; 74.06.11.472; 74.06.11.756; 74.06.11.442; 74.06.11.133; 74.06.11.450.

**proeqtis stadia**: winasaproeqto;

**შენობების კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით**: მეორე (II);

**ობიექტების ტექნიკური დახასიათება:**

სავარაუდოდ პროექტით გათვალისწინებულია ერთი და ორსართულიანი კოტეჯების მშენებლობა სარდაფის სართულის გარეშე. საპროექტო ნიშნულები ჯერ გადაწყვეტილი ზუსტად არ არის.
**შენობების ტიპი**: კარკასი,აგურის ან ბლოკების შევსებით.

**საძირკვლის სავარაუდო ტიპი**: რკინაბეტონის ფილა ან ლენტური ტიპის საძირკველი.

კვლევის დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყოს ორ (2)ეგზემპლარად.

**დანართი**: უბნის ტოპოგეგმა, მასშტაბი 1:500

კონსტრუქტორი

**ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა გუდაური. დაბაში მდებარე ტერიტორიაზე, ნაკვეთებზე s/k 74.06.11.052; 74.06.11.472; 74.06.11.756; 74.06.11.442; 74.06.11.133; 74.06.11.450. შენობების აგებისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების შესასრულებლად წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.**

## I
## შესავალი

კერძო პირების, ლ.ცაბაძე, ლ.სუჯაშვილი, ნ,სეთურიძე, ო.სეთურიძე, გ.ღუდუშაური, ე.ჭიპაშვილის დაკვეთის საფუძველზე, 2021 წლის 13 აპრილს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა გუდაურში მდებარე ტერიტორიაზე, ნაკვეთებზე s/k 74.06.11.052; 74.06.11.472; 74.06.11.756; 74.06.11.442; 74.06.11.133; 74.06.11.450. ინჟინერ-გეოლოგ დ.ხუციშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ზოგადი შესწავლა და დასაპროექტებელი ნაგებობებისათვის მოცემული უბნის ვარგისიანობის დადგენა.

კვლევითი სამუშაოების დაწყებამდე შესწავლილ იქნა რაიონის მთლიანობაში და და მოცემული დაბის ფარგლებში არსებული საფონდო მასალები. კერძოთ 2016 წელს დავით შანიძის მიერ ჩატარებული კვლევების მასალები. 2020 წელს შპს "გეოგემას" მიერ ჩატარებული კვლევები და 2012 წელს "ახალი საქქალაქმშენპროექთის" მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები გამოყენებულ იქნა ჩვენს მიერ მოცემული დასკვნის შედგენის დროს. მასალები ინახება აღნიშნული დაწესებულებების არქივებში.

უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად, ზემოთაღნიშნულ ქმედებებთან ერთად ჩატარდა ტერიტორიის რეკოგნოსცირება და არსებული ბუნებრივი გაშიშვლებების შესწავლა. საფონდო მასალების მიხედვით უბანძე გაბურღულია ორი ჭაბურღილი, სიღრმით 5.0მ da 15.0მ. ასევე გაყვანილია ექვსი შურფი 2.5-2.7 მეტრი სიღრმიტ. როგორც ავტორები განმარტავენ, ჭაბურღილების სიღრმე განპირობებულია ტერიტორიის ლიტოლოგიური აგებულებით და დასახული მიძნებით, რომლებიც სრულად შეესაბამება სამშენებლო ნორმატივებს (ს.ნ და წ.1.02.07.-87 da სნ და წ. 2.02.01-83 ). Dდასახული მიზანი ასევე ითვალისწინებდა ძირითადი ქანების ჭილის სიღრმესაც.

საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებული თიხოვანი გრუნტების შესასწავლად, ჭაბურფილებიდან ამოფებულ იქნა გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 3 ნიმუში. ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა "ახალი საქქალაქმშენპროექტის" საინჟინრო-გეოლოგიური განყოფილების ლაბორატორიაში.

გამონამუშევრების მიბმა განხორციელდა დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპორუკით მასშტაბით 1:500.

## II

**უბნის ზოგადი დახასიათება, მდებარეობა, საზღვრები, გეომორფოლოგია, კლიმატი**

საკვლევი უბანი მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა გუდაურის ტერიტორიაზე. ადგილი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი ფერდობია.
მორფოლოგიურად უბანი წარმოადგენს სამხრეთ-აღმოსავლეთი ექსპოზიციის დამრეცად დახრილ ფერდის ნაწილს და გრძელდება მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირამდე. სიმაღლეთა აბსოლუტური ნიშნულები მერყეობს 2102.0 – 2114.0 მეტრის ფარგლებში.

შესასწავლი ტერიტორია შედის აღმოსავლეთ კავკასიონის საკმაოდ ნოტიო ჰავის ზონაში, ცივი ზამთრით და ხანგრძლივი ზაფხულით. სამშენებლო კლიმატური დარაიონების მიხედვით მიეკუთვნება Iგ ზონას.გაბატონებულია ჩრდილოეთის და ცრდილო-დასავლეთის მომართულების ქარები. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 3.3°. ნალექების საშუალო სლიური რაოდენობაა 786 მმ. თოვლის საბურველი 100 დღეა. თოვლეს წონა 2.5 კპა-ია.თიხა-თიხნარების გაჯინვის სიღრმე 118-120 სმ-ია. მონაცემები აფებულია მომქმედი წესების თანახმად “samSeneblo klimatologia” ( პნ 01.05-08 ).
ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ დელუვიურ-პროლუვიური თიხოვანი ნალექები, რომლებითაც გადაფარულია ძირითადი ქანები-დიაბაზები და ანდეზიტები.

## III
## საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი რეკოგნოსცირების და საფონდო მასალების გამოყენებით სამშენებლო უბნის გეოლოგიური ჭრილი მოძებნილია და აღწერილია მოცემულ თავში.
გამონამუშევრები #1, #2. წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, რომ მიწის ზედაპირიდან 1,0 m სიღრმემდე გავრცელებულია ნაყარი და ნიადაგის ფენა (Qiv). (ფენა #1). 1.0 – 2.40 მეტრის სიღრმეზე გვხვდება ყავისფერი ფერის თიხა, კლდოვანი ნატეხების და კენჭების ჩანართებით 20%-მდე. თიხა მყარპლასტიკურია (ფენა #2).

2.40 – 2.70 m. სიღრმეზე გვხვდება დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის (dpQiv) ღია ყავისფერი ფერის ნახევრადმყარი თიხა (ფენა #2) CanarTebiთ 15%-მდე.

5.0 _ 7.0 m ინტერვალში გვხვდება ძირითადი ქანი, მეოთხეული ასაკის ვულკანური წარმოშობის დიაბაზები და ანდეზიტები (Qiv).

საფონდო მასალების უფრო ღრმად განლაგებული ქანები არ წარმოადგენს ჩვენი შესწავლის ინტერესს ამ ობიექტზე.

Gგრუნტის წყალი დაძიებულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა საფონდო მასალის მიხედვით.

# IV

## დასკვნები და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოთაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი წინასწარი დასკვნები

1. მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე არ არის (არასასურველი) საშიში ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესები.
   სამშენებლო უბანი საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება II(საშუალო) კატეგორიას, სნ. da წ 1.02.07.87 10 – ე დანართის თანახმათ.

2. სამშენებლო თვისებების მიხედვით უბნის ამგებ ქანებში გამოიყოფა ერთი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე).ნაყარი და ნიადაგის ფენა მხედველობაში არ მიიღება.

   I sge – ღია ყავისფერი, ნახევრადმყარი კონსისტენციის თიხა, ქანის ნატეხების და კენჭების ჩანართებით 15-20%. dpQiv (fena #2);

3. უბნის ლითოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე, დასაპროექტებელი შენობის დაფუძნება შეიძლება I(სგე)-ზე. დაფუძნებისას სამირკვლის ტიპად შეიძლება მიღებულ იქნას ლენტური ან რკინაბეტონის ფილა.

4. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებებიდან გამომდინარე საანგარიშო წინაღობა უნდა ვიგულისხმოთ 2.2 კგ/სმ².

5. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბრძანება #1_1/2284-s თანამად (პნ 01.01.-09), სამშენებლო ტერიტორიის სეისმურობა მიღებულ იქნას 9 ბალი. ამავე კრებულის მიხედვით ტერიტორიის ამგები გრუნტები სეისმურობის მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

6. დამუშავების სიძნელის მიხედვით უბანზე გავრცელებული გრუნტები სნ და წ IV- 2 -82 I - I ცხრილის თანახმად მიეკუთვნება:

- ნაყარი (ფენა#1) – ყველა სახის დამუშავებისას II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800კგ/მ$^3$(რიგ.#24ა)

- თიხა (ფენა#2) – ყველა სახის დამუშავებისას III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1950 კგ/მ$^3$ (რიგ.#8ვ)

ინჟინერ - გეოლოგი დავით ხუციშვილი


LTD "KIRKITADZE & COMPANY"
შპს "kirkitaZe da kompania" (s/n416294106?
direqtori
Semowmda
daxaza
damkveTi

ჭრილი 2-2




ჭრილი 4-4




$Q_{IV}$ 1 ნაყარი და ნიადაგის ფენა

$dpQ_{IV}$ 2 თიხა ნატეხოვანი მასალის და კენჭების შემცველობით 20% -მდე

დუშეთის რაიონი დაბა გუდაური

უბნის გეოლოგიური ჭრილი 1: 500

ინჟინერ გეოლოგი: დავით ხუციშვილი